1 ივნისი

რიგითი ჟამის VIII კვირა [IV]

შაბათი
2024

(19.V) წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა, IVს, თ
წმ. იუსტინე, ფილოსოფოსი, წამებული,+ ≈165 რომ-
ში, (მ), წ

იუდ 17. 20-25; ფს 62; მარ 11,27-33

კახეთის ხიზაბავრის წმ. ნინოს
კათოლიკური ეკლესიის დღეობა

შეინახეთ თქვენი თავი ღვთის სიყვარულში

იუდ 21

მოციქული წმ. იუდა რამდენიმე მოწოდებით მიმართავს ქრისტიანებს, მათ ასე უწოდებს – „რჩეულნი, საყვარელნი მამა ღმერთში და დაცულნი იესო ქრისტეს მიერ“. მათ ასე შეაგონებს – „საკუთარი თავი დააფუძნეთ თქვენივე უწმიდეს რწმენაზე“ და შემდეგ მოუწოდებს, რომ ილოცონ და დარჩნენ ღმერთის სიყვარულში, იცხოვრონ გულმოწყალებით. განუყოფელია ღმერთის სიყვარული და გულმოწყალება, როგორც ორი მცნება, როგორც მედლის ორი მხარე.

2 კვირა 2024

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგითი IX კვირადღე, «ბ», [I], მწ

(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს
უნმიდესი ხორცისა და სისხლის დიდდღესასწაული)

[(20.V) წმ. ღირსნი მაბულონი და წმ. სოსანა, წმ. ნინოს მშობლები (IVს.); /წმ. მარცელინე და წმ. პეტრე წამებულნი +304 რომში]

რჯლ 5,12–15; ფს 80; 2 კორ 4,6–11; მარ 2,23 – 3,6

შაბათი ადამიანისთვის არის შექმნილი
და არა ადამიანი შაბათისთვის მარ 2,27

ეს პრინციპი წინ აღუდგება იმ სკრუპულოზურ ლეგალიზმს, რომელიც კლავს რჯულის სულს და თრგუნავს ადამიანს. ის გამორიცხავს კა-ზუისტიკას, რომელიც ამახინჯებს რელიგიური წესების ნამდვილ მნიშვნელობას. შაბათის მსგავსად კვირადღეც ის დღეა, როცა განსა-კუთრებული გულმოდგინებით უნდა ვაკე-თოთ სიკეთე.

3 ივნისი

ორშაბათი
2024

რიგითი ჟამის IX კვირა [I]

წმ. კარლო ლვანგა და მისი მეგობრები, უგანდელი წამებულები, + 1886, (მ), წ

2პეტ 1,1-7; ფს 90; მარ 12,1-12

ლოდი დაწუნებული ქვაკუთხედად იქცა

მარ 12,10

იესო იმასთან საუბრობს, ვინც არ აღიარებს, რომ მისი მეშვეობით თავად ღმერთი მოქმედებს. მან კარგად იცის, რომ იგი მათ მიერ დაწუნებული ქვაა, ვისაც შენობის აგების მოვალეობა აკისრია. მაგრამ მათ ზემოთ ღმერთი მოქმედებს. მას ვერაფერი დააბრკოლებს, თვით სიკვდილიც კი, რასაც მას განუმზადებენ.

4 ივნისი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის IX კვირა [I], მწ

2პეტ 3,12-15.17-18; ფს 89; მარ 12,13-17

გაიზარდეთ უფალ იესო ქრისტეს შემეცნებაში 2პეტ 3,18

ასე მოგვიწოდებს წმიდა პეტრე, ვინც იცის,
თუ როგორ ველით უფლის დიდებით
მოსვლას და რომ არ გვყოფნის ეს
წარმავალი წუთისოფელი.
უკვე ვიცნობთ იესოს, მაგრამ მაინც მწირია
ჩვენი ცოდნა. იგია ღმერთის წყალობა
და მის გარეშე არარანი ვართ,
გამხმარ ფოთოლს ვგავართ.

5 ივნისი

ოთხშაბათი:
2024

წმ. ბონიფაციუსი, მაინცის ეპისკოპოსი, წამებული, +754, (მ), წ

2ტიმ 1,1-3.6-12; ფს 122; მარ 12,18-27

მკვდრეების კი არა, ცოცხალთა ღმერთია! მარ 12,27

ჰოი, ღმერთო, ჩვენი მამაპაპის მამავ, სიცოცხლის მომნიჭებელო, შენ არასოდეს მიგვატოვებ! სიკვდილის შემდეგაც შენი ვიქნებით, როგორც აბრამი, ისაკი და იაკობი. მათი წყალობით შეგიცნო და შეგიყვარა მრავალმა თაობამ. ასევე ჩვენი, იესოს მორწმუნეთა წყალობით, შეგიცნობს და შეგიყვარებს ჩვენს შემდეგ მომავალი. ჩვენ ძვირფასნი ვართ შენს თვალში, სამარადჟამოდ.

6 ივნისი

ხუთშაბათი

2024

რიგითი ჟამის IX კვირა [I], მწ

წმ. ნორბერტი, მაგდებურგის ეპისკოპოსი, პრემონსტრანტების დამაარსებელი, +1134

2ტიმ 2,8-15; ფს 24; მარ 12,28-34

შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი მარ 12,31

ხვდები რისი თქმა სურს იესოს? ის არ გეუბ-ნება, რომ შეიყვარო შენი თავი, ანუ მხოლოდ საკუთარ სურვილებზე რომ ზრუნავდე; არ სურს მხოლოდ შენს თავზე გადაიტანო მთე-ლი ყურადღება: ეს ხომ მავნე ნარცისიზმი იქნებოდა. მას სურს, ისევე შევიყვაროთ სხვები, როგორც ღმერთს ვუყვარვართ; "შეიყვარეთე ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ"!

7 ივნისი

პარასკევი
2024

იესოს ღმრთაებრივი გული, «ბ», დდ, [ს], თ

ოს 11,1.3–4.8–9; საგ.: ეს 12,2–6; ეფეს 3,8–12.14–19; იო 19,31–37

ხიზაბავრის (ასპინძა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა

იხილავენ მას, რომელსაც უყმირეს იო 19,37

მახარობელს სურს დაგვეხმაროს ჯვრაცმული იესოს განჭვრეტაში. ერთმა ჯარისკაცმა მას გული გაუგმირა, და გადმოდინდა სისხლი და წყალი. ეს ყველამ დაინახა, და ჩვენც. ასე განხორციელდა წინასწარმეტყველ ზაქარიას სიტყვა. ჩვენს მზერას სხვაგან ვერსად გადავიტანთ. ხსნა იესოს გულიდან მოდის!

8 ივნისი

შაბათი
2024

რიგითი ჟამის IX კვირა [I], მწ

ნეტ. ქალწ. მარიამის უმანკო გული (მ), თ

2ტიმ 4,1-8; ფს 70; მარ 12,38-44;
ან, ეს 61,9-11; საგ.: 1მეფ 2; ლკ 2,41-51

რაც მამარემისაა, მასში მმართებს ყოფნა ლკ 2,49

მარიამი სამი დღის მანძილზე ეძებნა იესოს, სულ რაღაც თორმეტი წლის ყმაწვილს. შემდეგ ის ჯვრის ფერხთით იდგა, როცა გული გაუგმირეს. მისი გულიც, ცოდვისგან თავისუფალი, იტანჯებოდა და უფლის ვნებას ინაწილებდა. მასზეც უნდა შევაჩეროთ ჩვენი მზერა.

9 ივნისი

პირველ 2024

რიგითი X კვირადღე, «ბ», [II], მწ

წმ. ეფრემ დიაკონი, ეკლესიის მოძღვარი, +373 ედესაში (ურფა, თურქეთი)
(27.V) წმ. ღ. ბასილ ბაგრატ III-ის ძე, XIს;
წმ. ღირსი მიქელ პარეხელი, VIII-IXსს.

დაბ 3,9-15; ფს 129; 2კორ 4,13-5,1; მარ 3,20-35

ვინც ღვთის ნებას ასრულებს, ის არის ჩემი ძმა მარ 3,35

იესო, შენ ზიარებაში ხარ მასთან, ვინც შენს სურვილებს ითავისებს, რაც მამის სურვილებიცაა. სიყრმისეული მოგონებები, სამემკვიდრეო უფლება, ერთ ოჯახში დაბადება – ეს ყველაფერი წარსულთან კავშირშია. მომავალი ღმერთის გულშია. სწორედ მასში ვართ და ჭეშმარიტად ვგრძნობთ ერთიანობას.

10 ორშაბათი 2024

ივნისი

რიგითი ჟამის X კვირა [II], მწ

3მეფ 17,1-6; ფს 120; მთ 5,1-12

ნეტარ არიან მშვიდობის მოქმედნი მთ 5,9

მშვიდობისმყოფელია ის, ვინც ნამდვილ სიმდიდრეს, ანუ ღმერთის სიმდიდრეს იზი-არებს. იესოა ღმერთის პირველი საგანძური და ჩვენი საუნჯე. მშვიდობისმყოფელია ის, ვინც იესოს უღებს კარს და სხვასაც ეხმარება კარის გაღებაში. იგი ნეტარია, ანუ ღმერთთან ახლოა, უკვე მის გულშია.

11 ივნისი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის X კვირა [II], მწ

წმ. ბარნაბა, მოციქული (მ) [ს] წ

საქმ 11,21ბ-26;13,1-3; ფს 97; მთ 10,7-13

ეკვურნეთ სნეულნი, ეანდეკნეთ ეშმაკნი მთ 10,8

როგორ დაემორჩილებიან მოციქულები ამ მცნებას? ეს თვით მეფეებმა და იმპერატორებმაც კი ვერასოდეს მოახერხეს. ისინი ამას მიღებულ სიტყვაზე დაყრდნობით შეძლებენ, იესოსთან ერთობაში ყოფნით, მასზე გულისხმიერი მორჩილებით. სნეულნი ძალას მიიღებენ მისი წმიდა სახელიდან და ეშმაკები განიდევნებიან, ხოლო მათ გულში ღმერთის წმიდა სული დაიმკვიდრებს ადგილს.

12 ოთხშაბათი: 2024

ივნისი

რიგითი ჟამის X კვირა [II], მწ

წმ. გასპარე ბერტონი, სტიგმატელთა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1853, თ

3მეფ 18,20–39; ფს 15; მთ 5,17–19

სტიგმატელ მამათა დღესასწაული

ღმერთი, რომელიცა ცეცხლით ეაე ეცემს პასუხს, ღმერთი იქნება 3მეფ 18,24

ამ სიტყვას კარმელის მთის წვერზე მივყავართ, პალესტინის ჩრდილოეთით. ელია წინასწარმეტყველი შეწუხებულია, რადგანაც ხალხი უდრტვინველად ფიქრობს მეფის მსგავსად, ვინც რწმენა გვერდზე გადადო, რამაც ყველა მანკიერება წინ წამოსწია. ელია ცრუ წინასწარმეტყველებს ებძვის, ისინი თავიანთ ღმერთს იხმობენ, ის კი – თავისას. მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთი შეძლებს საკურთხეველზე ცეცხლის დანთებას. იცი როგორ დასრულდა ეს ამბავი?

13 ივნისი

ხუთშაბათი

2024

რიგითი ჟამის X კვირა [II]

წმ. ანტონ პადუელი, ხუცესი, პორტუგალიელი ფრანცისკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1231 პადუაში, (მ), თ

3მეფ 18,41-46; ფს 64; მთ 5,20-26

უფლის ხელი იყო ელიასზე 3მეფ 18,46

ელია, ერთგული წინასწარმეტყველი, ლოცულობდა. ღმერთმა უსმინა მას და შეისმინა მისი. ყოველთვის ასეა: ღმერთი შეისმენს მას, ვინც მისი მორჩილია.

14 პარასკევი 2024

ივნისი

რიგითი ჟამის X კვირა [II], მწ

3მეფ 19,9.11-16; ფს 26; მთ 5,27-32

ვინცა ცამეგებულს შეირთავს, მრუშობს მთ 5,32

იესო ზრუნავს, რომ ადამიანთა სიცოცხლე იყოს და გახდეს მამის სიყვარულის გამოცხადება. ქორწინება, კაცსა და ქალს შორის სტაბილური კავშირი, ის გამორჩეული გზაა, რომელიც აჩვენებს მამასა და ძეს შორის კავშირს და ქრისტესა და ეკლესიას შორის კავშირს. ამისათვის ის უნდა გადარჩეს, თუნდაც ჯვრად იქცეს ერთისთვის ან მეორესთვის, ან ორივესთვის.

15 შაბათი 2024

ივნისი

რიგითი ჟამის X კვირა [II], მწ

3მეფ 19,19-21; ფს 15; მთ 5,33-37

რაც ამაზე მეტია, ბოროტისაგანაა მთ 5,37

რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი სიტყვები! ამ სიტყვემა შეიძლება აკურთხონ ან დაწყევლონ, გაამჟღავნონ და გასცენ სიყვარული ანდა სიძულვილი. ანუ მათ შეუძლიათ განაცხადონ ჩვენი კავშირი ღმერთთან ან სატანასთან. ამიტომაც, ფრთხილად ვიყოთ, როცა პირს გავაღებთ.

16 კვირა 2024

ივნისი

რიგითი XI კვირადღე, «ბ», [III], მწ

ეზეკ 17,22-24; ფს 91; 2კორ 5,6-10; მარ 4,26-34

თავის მოწაფეებს ცალკე ანუმარტავდა ყველაფერს

მარ 4,34

იესო ზრუნავს, რათა თავისმა მოწაფეებმა გაიცნონ ღმერთის სამეფო და შეძლონ ამ-ქვეყნიური სამეფოთაგან მისი გარჩევა. ასე შეძლებენ გაარჩიონ, მას ეკუთვნიან თუ ჯერ კიდევ არა. თუკი ცათა სამეფოს ვეკუთვნი, ჩემი სიცოცხლე ძვირფასია, სხვაგვარად მას გემო არ ექნება.

17 ორშაბათი 2024

ივნისი

რიგითი ჟამის XI კვირა [III], მწ

3მეფ 21,1-16; ფს 5; მთ 5,38-42

მიეცი მთხოვნელს მთ 5,42

ეს უფლის ერთ-ერთი სწავლებაა. ასე ხდება ღმერთის სამეფოში. მასში ხარობენ დიდ-სულოვნებით, რომელიც აჩვენებს საგანთა, სიმდიდრის ჭეშმარიტ ფასეულობას: ისინი მაშინ ფასობენ, როცა სიყვარულის იარაღად იყენებენ, როდესაც მათ უზიარებენ სხვებს.

18 სამშაბათი 2024

ივნისი

3მეფ 21,17-29; ფს 50; მთ 5,43-48

ეიყვარდეთ თქვენი მტრები მთ 5,44

ხშირად გაისმის: „გვიყვარდეს მტრები? ეს ხომ უაზრობაა. არაამქვეყნიური!“ სწორედ ასეა: ცათა სასუფეველი განსხვავებულია, არაამქვეყნიურია, რადგანაც მასში ახალი რჯული მოქმეედბს, წუთისოფლის თვალთა-გან უცხო. არადა, სწორედ ამ წუთისოფლის ადამიანები, რომლებიც ცათა სასუფევლის მტრებად გამოდიან, პირველნი იღებენ იმ სიყვარულს, რომელიც მიგვიღია და რომელსაც გავცემთ.

19 ივნისი

ოთხშაბათი: 2024

რიგითი ჟამის XI კვირა [III], მწ

წმ. რომუალდი, აბატი, კამალდოელების დამაარსებელი, +1027 კამალდოლიში (იტალია)

4მეფ 2,1.6-14; ფს 30; მთ 6,1-6.16-18

როცა მოწყალებას გასცემ, ნუ გაახმაურებ მთ 6,2

მავანი თავმომწონედ ამბობს: „კარგი იქნება, თუ ყველა იხილავს ჩემს კარგ მაგალითს“, ხოლო იესო ამბობს: „თუკი სიკეთეს იმიტომ აკეთებ, რომ სხვებმა დაინახონ, არაა კარგი მაგალითი, რადგან ეს სიკეთე ამაო დიდებას ემსახურება, სატანის დიდებას“. შევეცადოთ დაფარულში დავრჩეთ. სიკეთე, რასაც აკეთებ, ნათელია, რომელიც შენი ნების მიუხედავად მაინც ანათებს.

20 ივნისი

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის XI კვირა [III], მწ

ზირ 48,1-14; ფს 96; მთ 6,7-15

არ მიეკვატოდეთ ეანსაცდელის კართან მთ 6,13

როდესაც იესო ლოცვას გვასწავლის, შესთხოვს მამას, რომ ცდუნების წუთებში გაგვაძლიეროს თავისი ძლიერი ხელით. ცდუნებები მრავლადაა: ყველაზე საშიში არის გაყოფა. როდესაც გაყოფილები ვართ, გამთიშველი ბატონობს ჩვენზე, რომელიც ჩვენში მრავალ ბოროტ თესლს ავრცელებს.

21 პარასკევი 2024

ივნისი

რიგითი ჟამის XI კვირა [III]

წმ. ალიოზ გონძაგა, იეზუიტი სტუდენტი,
+1591 რომში, (მ), თ

4მეფ 11,1-4.9-18.20; ფს 131; მთ 6,19-23

დაიუნჯეთ ცაში მთ 6,20

როგორ ცხოვრობენ ცათა სასუფეველში? მასში ყურადღებას არ იპყრობს ფული და ის, რაც ამქვეყნიურ სამეფოში ფასობს. მასში მთელი ყურადღება მიპყრობილია ჩვენს შორის ურთიერთობაზე, რათა აღარავინ იტანჯებოდეს და განსაკუთრებით, არავინ ტანჯავდეს. ეს მოსაწონია მამისთვის.

22 ივნისი

22 შაბათი 2024

რიგითი ჟამის XI კვირა [III], მწ

წმ. პავლინი, ნოლას ეპისკოპოსი, +431;
წმ. იოანე ფიშერი, როჩესტერის ეპისკოპოსი
და წმ. თომას მორი, ინგლისის კანცლერი,
ლონდონში წამებულნი, +1535.

2ნეშტ 24,17-25; ფს 88; მთ 6,24-34

დღეს ჟოზეფის თავისი ტასაჭირი მთ 6,34

ჩვენ მიჩვეულები ვართ, რომ ხვალინდელ დღეზე ვწუხდეთ. წუხილი სევდას გვმატებს, გვძაბავს, გვაშფოთებს და გვაჩქარებს. ეს ყოველივე აჩვენებს, რომ ჩვენი რწმენა ფეხზე ვერ დგას. ყოველ დღე მოგვიწევს ჯვრის ტარება. თუკი სიყვარულით ვატარებთ დღეს, ძალას მივიღებთ, რომ ხვალ ვატაროთ.

23 პირველი 2024

რიგითი XII კვირადღე, «ბ», [IV], მწ

იობ 38,1.8-11; ფს 106; 2კორ 5,14-17; მარ 4,35-41

საღამოს – იოანე ნათლისმცემლის ღამისთევის წირვა: იერ 1,4-10; ფს 70; 1პეტ 1,8-12; ლკ 1,5-17

ვინ არის ეს, ქარიცა და ზღვაც
რომ ემორჩილება? მარ 4,41

უფალო იესო, შენ მყუდროება დაგირღვიეს. ფიქრობდნენ, რომ შენი ყოფნა უფრო შედეგიანი იქნებოდა ფხიზლად, ვიდრე ძილში. შენმა სიტყვამ უვნებლად აქცია ქარი და ზღვა, მაგრამ შენ შესძახე იმ მოწაფეებს. შესძახე არა იმიტომ, რომ შენ მოსვენება დაგირღვიეს, არამედ იმიტომ, რომ ცოტა რწმენა მაინც რომ გამოეჩინათ, არც შიში ექნებოდათ და არც ზიანს მიიღებდნენ.

24 ორშაბათი 2024

ივნისი

წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა,
დდ, [ს], თ

ეს 49,1-6; ფს 138; საქმ 13,22-26; ლკ 1,57-66.80

იოანეა მისი სახელი ლკ 1,63

ბავშვისთვის სახელის დარქმევა მნიშვნელოვანი მომენტია. ეს სახელი ხომ მთელი ცხოვრება გამოარჩევს მას მრავალი ბავშვიდან, ყველა ადამიანიდან. ზაქარიას შვილს დაერქმევა სახელი, რომელიც სხვებს ღმერთის გაცნობაში დაეხმარება, იოანე ხომ ამას ნიშნავს: ღმერთი მოწყალეა, ღმერთი სიყვარულია! თვით ანგელოზმა ინება ამ სახელის დარქმევა ყრმისთვის!

25 სამშაბათი 2024

ივნისი

რიგითი ჟამის XII კვირა [IV], მწ

(12.VI) წმ. ღირსი ისიდორე სამთავნელი, მონაზონი, VIს; წმ. იოანე-თორნიკე მთაწმიდელი, XIს

4მეფ 19,9-11.14-21.31-35.36; ფს 47; მთ 7,6.12-14

ვიწრო კარით შედით მთ 7,13

იესო კვლავ აგრძელებს ჩვენს შეგონებას
იმაზე, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ ცათა
სასუფეველში. ამ სამეფოში არავინ ეძე-
ბს კომფორტს, საკუთარ კეთილდღეობას,
ეგოიზმის გზას, ანუ ამქვეყნიური სამეფოს
იოლ გზებს. ცათა სამეფოში ყველა უფლის-
კენ ილტვის, მაშინაც, როცა ჯვარს ეზიდება.
სირთულე არ აშინებთ, რამეთუ სიყვარულით
მიუყვებიან გზას.

26 ოთხშაბათი: 2024

ივნისი

4მეფ 22,8-13;23,1-3; ფს 118; მთ 7,15-20

ერიდეთ ცრუწინასწარმეტყველებს მთ 7,15

ბრძენკაცებად აჩვენებენ თავს, არადა იესოს გარეშეც იცხოვრებდნენ. ცრუ წინასწარმეტყველის ტყუილიც ესაა: ჩაგაგონებს ღმერთის მადლის – მისი ძის უსარგებლობას. ხოლო ნამდვილი წინასწარმეტყველი, – როგორც ეპისკოპოსი ვირგილიუსი –, საკუთარი სიცოცხლის ფასად გვაცნობს მას, ვინც ცოდვისგან იგივ სიკვდილისგან დაგვიხსნის.

27 ხუთშაბათი 2024

ივნისი

რიგითი ჟამის XII კვირა [IV], მწ

წმ. კირილე, ალექსანდრიის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +444

4მეფ 24,8-17; ფს 78; მთ 7,21-29

ის არ დაეცა, რადგან კლდეზე იყო დაფუძნებული მთ 7,25

უფალი იესო თავისი შეგონებების პირველ ეტაპს ასრულებს, რითაც მათ მნიშვნელობებს შეგვაცნობს. ვინც ყურად იღებს, ძლიერ საძირკველს აგებს: შეძლებს განსაცდელთა გამკლავებას, ხოლო ვინც იქადის, რომ უფალზე გონიერია, განსაცდელის ჟამს დაუძლურდება და განადგურდება.

28 ივნისი

პარასკევი
2024

რიგითი ჟამის XII კვირა [IV], მწ

წმ. ირენეოსი, ლიონის ეპისკოპოსი და წამებული, + ≈202, (მ), წ

4მეფ 25,1-12; ფს 136; მთ 8,1-4

საღამოს – წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ღამისთევის წირვა: საქმე 3,1-10; ფს 18ა; გალ 1,11-20; იო 21,15-19

შიმშილი მეფობდა ქალაქში 4მეფ 25,3

ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმს ალყა შემოარტყა. ვერავინ შეეწეოდა ბედის ანაბრად მიტოვებულ ხალხს. შიმშილობა დადგა. ღმერთის იმედი რომ ჰქონოდათ და წინასწარმეტყველთა ხმა რომ ყურად ეღოთ... ამას უნდა მიაქციოს ყურადღება ჩვენმა გულმა: მორჩილებით შეისმინოს უფლის სიტყვა.

29 ივნისი

შაბათი
2024

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულნი დდ, [ს], წ

საქ 12,1-11; ფს 33; 2ტიმ 4,6-8.17-18; მთ 16,13-19

თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა. შესაწირავი პაპისათვის.

შენ ხარ ქრისტე,
ძე ცო-ცხალი ღვთისა მთ 16,16

დღეს ორ მოციქულს გავიხსენებთ. პეტრეს ცათა სასუფევლის კლიტე ებოძა, რათა კარი გაეხსნა იესოს ერთგულთათვის და დაეხურა მის უარმყოფელთათვის. პავლემ, მთელი ცხოვრება შესწირა, თავგანწირვითა და ტანჯვით, უფლის სახელის გავრცელებას, თვით წარმართთა შორისაც. ორივე მოციქულმა თავიანთი უკანასკნელი მოწმეობა რომში აღასრულეს. ამ ქალაქიდან გაიჟღერებს მთელს მსოფლიოში რწმენის ეს შეძახილი: „შენ ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა!“

30 ივნისი

ჯვირა 2024

რიგითი XIII კვირადღე, «ბ», [I], მწ

[რომის ეკლესიის წმიდა პირველმოწამენი, +64
წმ. შალვა ახალციხელი, +1227]

სიბრძ 1,13-15;2,23-24; ფს 29; 2კორ 8,7.9.13-15; მარ 5,21-43

იქრძნო სხეულში, რომ განიკურნა სენისაგან მარ 5,29

შესმენილ იქნა იმ დედაკაცის რწმენა. რამხელა სიხარულია! თუმცა იესოს სურს საჯარო გახადოს მისი რწმენა, ყველა იქ მყოფს ეღიარებინა და მიეღო სტიმული სარწმუნებლად. ასე გაიხარებენ მრავალნი მამის სიყვარულით, ვინც ყველას მიმართ იჩენს მზაობას.